ლისაბონი, 14 მაისი. (საკდესი). პორტუგალიის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადწყვეტილება თამბაქოს, ცემენტისა და ცელულოზის მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ. ქვეყანაში დაწესებულია ავრეთვე ხელფასის ახალი გადიდებული მინიმუმი.

ეს გადაწყვეტილებები კიდევ ერთი ნაბიჯია ეკონომიურ პოლიტიკაში ანტიმონოპოლისტური კურსის განხორციელების გზაზე, რომელიც გათვალისწინებულია შეიარაღებული ძალების მოძრაობის პროგრამით, და მიზნად ისახავს ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

• • •

ხურათზე: პორტუგალიის მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ პორტუგალიის დროებითი მთავრობის ახალ ღონისძიებებს.

მშვიდობის შენარჩუნების გარანტია

სოციალისტური ქვეყნების ბრესა სტატიებს უძღვნის ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ოცი წლისთავს. მომავე ქვეყნების გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ უდიდეს როლს, რომელსაც სოციალიზმის ქვეყნების თავდაცვითი კავშირი ასრულებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სოფია. ვარშავის ხელშეკრულება, წერს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი **„რაბოტნიჩესკო დელო“**, წარმოადგენს ევროპის სოციალისტური ქვეყნების მწყობრ პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციას, რომელიც კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებათა აგრესიული ვეგეგმებისა და მოქმედებისაგან დაცვის ფუნქციის ასრულებს. ეს ორგანიზაცია შექმნილია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, მონაწილე ქვეყნების სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე, ურთიერთდახმარების საფუძველზე და სავსებით შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

ვარშავა. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ ხაზგასმით აღნიშნავს: სოციალისტური თანამეგობრობის მთავარი მიზნის — სოციალიზმის აშენების მისაღწევად აუცილებელია მშვიდობის შენარჩუნება. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ვარშავის ხელშეკრულების ყველა დოკუმენტში ევროპის უშიშროებისა და ჩვენს კონტინენტზე მდგომარეობის نورმალიზაციის პრობლემა პირველ ადგილზე იდგა და დგას.

პრაღა. როგორც სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო ყოველკვირეული **„ნედელნა პრაცა“** აღნიშნავს, დღეს ვარშავის ხელშეკრულება მისი ყველა მონაწილისათვის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შენებლობის საიმედო გარანტია. კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით შექმნილი ეს ძალა დღეისათვის გადამწყვეტი ფაქტორია მშვიდობის დაცვასა და სოციალიზმის მშენებლობაში.

ბერლინი. განვლილი ორი ათეული წლის მანძილზე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია გახდა ჩვენი ქვეყნების ძმური ურთიერთობის განვითარებისა და გაღრმავების ინსტრუმენტი, საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის ცენტრი და სოციალისტური სამხედრო კავშირი, წერს ყოველკვირეული **„ჰორიცონტი“**. სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ ლენინური მოძღვრების საფუძველზე შექმნილი ვარშავის ხელშეკრულება ამავე დროს წარმოადგენს არაორჭოფულ პასუხს ნატოსა და სხვა იმპერიალისტური სამხედრო ბლოკებისადმი, რომლებიც სოციალიზმს იმუქრებიან.

ვარშავის ხელშეკრულების საქმიანობა უცილობლად ადასტურებს, რომ მშვიდობა მით უფრო საიმედოა, რაც უფრო მტკიცედ აერთიანებენ სოციალისტური სახელმწიფოები თავიანთ ძალებს სოციალისტური მიღწევების და საზოგადოებრივი პროგრესის დასაცავად, ხაზს უსვამს „ჰორიცონტი“. (საკდესი, 13 მაისი).

ჰ. კისინჯერის გამოსვლა

ვაშინგტონი. 13 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა სენატ-ლუიზში (მისურის შტატი) განცხადება გააკეთა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

იგი შეეხო საგრძნეთ-აღმოსავლეთ აზიის ბოლოდროინდელ მოვლენებს და თქვა: ვიეტნამის კონფლიქტმა, რომელშიც ჩვენ ასე მოუფიქრებლად ჩაგებით თხუთმეტი წლის წინათ, უფრო მეტად გათიშა ქვეყანა. ვიდრე რომელიმე სხვა მოვლენამ ამერიკის სამოქალაქო ომის შემდეგ.

სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა მის მოკავშირეებთან ბევრად არის დამოკიდებული შეერთებული შტატების პოსტიტიზე და განაცხადა: ცხადია, რომ ტრავმამ, რომელიც ამერიკამ განიცადა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, დაწყებული ერთი პრეზიდენტის მოკვლით და დამთავრებული მეორე პრეზიდენტის გადადგომით, უთმრავი ეჭვი წარმოშვა.

ამასთან დაკავშირებით ჰ. კისინჯერმა თქვა, ამერიკის საგარეო პოლიტიკა უფრო მოქნილი უნდა გახდესო. მან ხაზი გაუსვა, რომ ეს იგრეთვე ნაკარნახევია უკანასკნელ წლებში მსოფლიოს ძალთა თანაფარდობის შეცვლით.

იგი შეეხო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას და განაცხადა, ეს ურთიერთობა ხორციელდება ორ მხარეზე: ევროპასა და აზიაში. ევროპაში ეს ურთიერთობა ეფუძნება ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დადგენილებებს, ხოლო აზიაში — ორ ზეგანზე: ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე ომის შეწყვეტა და ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობა.

ჰ. კისინჯერმა ხაზგასმით აღნიშნა, ამერიკა ინტერესებს ამჟღავნებს ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობის ნორმალიზაციისადმი, ეს ურთიერთობა ეფუძნება ორ ქვეყნის ურთიერთშეთანხმებას, ეს ურთიერთობა ეფუძნება ინდოეთ-ჩინეთ-ბანგლადეშ-პაკისტანის ურთიერთობის ნორმალიზაციას, ეს ურთიერთობა ეფუძნება ინდოეთ-ბანგლადეშ-ბირმის ურთიერთობის ნორმალიზაციას, ეს ურთიერთობა ეფუძნება ინდოეთ-ბანგლადეშ-ბირმა-ინდონეზიის ურთიერთობის ნორმალიზაციას, ეს ურთიერთობა ეფუძნება ინდოეთ-ბანგლადეშ-ბირმა-ინდონეზია-ფილიპინების ურთიერთობის ნორმალიზაციას, ეს ურთიერთობა ეფუძნება ინდოეთ-ბანგლადეშ-ბირმა-ინდონეზია-ფილიპინები-ავსტრალიის ურთიერთობის ნორმალიზაციას, ეს ურთიერთობა ეფუძნება ინდოეთ-ბანგლადეშ-ბირმა-ინდონეზია-ფილიპინები-ავსტრალია-ახალი ზელანდიის ურთიერთობის ნორმალიზაციას.

ჰ. კისინჯერმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, ამერიკა ინტერესებს ამჟღავნებს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე ომის შეწყვეტისადმი, ეს ურთიერთობა ეფუძნება ინდოჩინეთ-ინდონეზია-ფილიპინების ურთიერთობის ნორმალიზაციას, ეს ურთიერთობა ეფუძნება ინდოჩინეთ-ინდონეზია-ფილიპინები-ავსტრალიის ურთიერთობის ნორმალიზაციას, ეს ურთიერთობა ეფუძნება ინდოჩინეთ-ინდონეზია-ფილიპინები-ავსტრალია-ახალი ზელანდიის ურთიერთობის ნორმალიზაციას.

ფართო მსჯელობა

ხალხებისადმი, პარლამენტებისა და მთავრობებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვა ბევრი ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში აღიქვეს როგორც მგზნებარე მოწოდება საიმედო და მტკიცე მშვიდობის საკეთილდღეოდ აქტიური მოქმედებისათვის.

ბერლინი. ეჭვი არ არის, რომ ამ მიმართვას გამოეხმაურებიან და მოწონებით აღიქვამენ ყველა კონტინენტზე, წერს **„ნოიეს დოიჩლანდი“**. ეს არის ხმა ქვეყნისა, რომლის პირველი დოკუმენტი დიდი ოქტომბრის დროს იყო ლენინური დეკრეტი ზავის შესახებ, ეს არის ხმა ქვეყნისა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომში გადალახა მთავარი სამძიმე ფაშისტი აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქვეყნისა, რომელმაც გაიღო ყველაზე დიდი მსხვერპლი და რომელმაც მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება.

ბუდაპეშტი. მშვიდობის მოწოდება, რომელიც გაისმა დიადი გამარჯვების წლისთავის დღესასწაულის დღეებში, გასაგები და ახლობელია ყველასათვის, ვინც განიცადა მეორე მსოფლიო ომის საშინელება, განიცხადა უნგრეთის კომუნისტური მოძრაობის ვეტერანმა ტერეზა კარლშტეინმა. იგი საბჭოთა კავშირის იმ მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ნათელი დადასტურებაა, რომელსაც თანამიმდევრულად ახორციელებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ვაშინგტონი. კეთილი ნების ადამიანები მიესალმებიან დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებას, რომლითაც გამსჭვალულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვა ხალხებისადმი, მთავრობებისა და პარლამენტებისადმი, განაცხადა სენატორმა კ. პელმა. ეჭვი არ არის, რომ მშვიდობის შენარჩუნებისათვის საჭიროა მთავრობებისა და ხალხების ერთობლივი ღონისძიებანი. მოხარულია ვარ, რომ საბჭოთა კავშირმა დამოუკიდებლად ცხადყო თავისი განზრახვა ილვწოდეს მშვიდობისათვის.

(საკდესი).

ჰენტაგონის აქციები

ბანგკოკი, 14 მაისი (საკდესი). დღეს პენტაგონმა ამერიკის ოკეანეთის და ფილიპინების ბაზებიდან 800 ხაზღვაო ქვეითი ჯარისკაცი გადაიყვანა ტაილანდში. ეს ნაბიჯი მან გადადგა კამბოჯის ხომალდის მიერ კამბოჯის სანაპიროს რაიონში ამერიკის გემის დაკავებასთან დაკავშირებით.

გუშინ ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა კუკრიტ პრამოტმა განაცხადა, რომ ტაილანდი არ მისცემს ნებას შეერთებულ შტატებს გამოიყენოს ტაილანდის სამხედრო-საჰაერო ბაზები კამბოჯის წინააღმდეგ ოპერაციებისათვის. „ჩვენ ნებას არ მივცემთ ამერიკის ჯარებს გამოიყენონ ჩვენი მიწაწყალი რაიმე ომისათვის, — თქვა პრემიერ-მინისტრმა. — ჩვენ ისედაც საკმაოდ ბევრი უსიამოვნება გვაქვს ჩვენს აზიელ ძეზობლებთან“.

საზღვაო ქვეითი ჯარის გადასხმასთან დაკავშირებით ტაილანდის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დღეს განაცხადა, რომ ტაილანდს ეს „ფრიად სერიოზულ საქმედ“ მიაჩნია და განიხილავს საკითხს, თუ რა აქციები უნდა განახორციელოს.

**პარიზი, 14 მაისი. (საკდესი). აქ ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ჩინეთის საგარეო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ დენ ს

მეგობარი

(დასასრული).

იმარჯვეს და მტერი მთებს იქით გადარეკეს.

ქართველები იცავდნენ საქართველოს სამხედრო გზას, რომლისკენაც მტერი მიიწევდა, მონაწილეობდნენ ორჯონიკიძის დაცვაში. ვინ მოსთვლის იმ გმირობასა და თავდადებას, მთელს საბჭოთა მეომრებთან ერთად ქართველ მებრძოლთა წილად რომ მოდის. მხოლოდ ერთი სახელიც კმარა სახსენებლად — გენერალი კონსტანტინე ლესელიძე, კავკასიის გმირი დამცველი, საქართველოს კარს მომდგარი მტრის რისხვა, ნოვოროსიისკისა და ტამანის განმათავისუფლებელი, დასავლეთ უკრაინის ბრძოლების მონაწილე, ყველაზე უფრო ძნელ დღეებში მოსკოვის დამცველი. ხუთეზის სალუტით მიესალმა მოსკოვი გენერალს და ის გმირულ ჯარს. გენერლის შვილი, ჭაბუკი მუდამ თან ახლდა მამას ბრძოლებსა და ლაშქრობებში, როგორც ქართველი ხალხის სამხედრო დიდებისა და საომარი ტრადიციების ცოცხალი დასტური.

შემოხვევით არ დაურჩენიათ მელორუსიაში ფაშისტთა არმიის „ცენტრის“ განადგურების მნიშვნელოვანი ოპერაციისთვის საკოდო სახელი „ბაგრატიონი“. და განა საბჭოთა ხალხების საბრძოლო ძმობის მაგალითი სიმბოლოდ არ იქცა ომის ბოლო დღეთა დამაგვირგვინებელი გმირობა, როცა საბჭოთა მეომრებმა მახეილ ეფროვმა და მელიტონ ქანთარიამ პირველი მაისის დამდეგს რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართეს!

ასე იმრავლა საქართველოს შვილთა სამხედრო დიდებამ, ასევე იმრავლა ყოველდღიური შრომის დიდებამ.

ქართველი ხალხი დიადი გამარჯვების ოცდამეათე წლისთავს აღნიშნავს შემოქმედებითი ძალების არნახული აღმავლობით, როცა რესპუბლიკის ყველა მშრომელი ვრცნობს ხელმძღვანელობის ახალი სტილის სიკეთეს და პირად პასუხისმგებლობას საერთო სახალხო საქმის წინაშე.

ნიკოლოზ ტიხონოვს ეთხოვ დიდ სამამულო ომში თავისი მონაწილეობის შესახებ გვესაუბროს.

— ლენინგრადელი ვარ და ვმონაწილეობდი იმ დიად ისტორიულ ბრძოლაში, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „გმირ ქალაქ ლენინგრადის დაცვის ცხრაასი დღე“. ამ დაცვაში ბევრი ქართველი მონაწილეობდა.

სამეთოთა პატრიოტები — ჩვენი ხაშმოლოს ყველა ხალხების წარმომადგენლები გაჯერთიანა ერთმა წადილმა — არ მიეშვათ მტერი რეკოლუციის აკვანამდე, რევოლუციურ ლენინგრადამდე.

ძნელია იმ საშინელი დღეების გახსენება. ეს იყო ბრძოლა მთელი ხალხისა და ქალების, ბავშვების, კაცების, მოხუცებისა. ჯერ ერთი, საგმირო იყო ლენინგრადის ირგვლივ გამაგრებათა შექმნა, თავდაცვის საშუალებების — ხანგრების გათხრა, ტანკსაწინააღმდეგო კედლების აგება, ველების დანაღმვა... რა გიგანტური, გოლიათური საქმე შეასრულეს ლენინგრადელებმა. ბომბი და ყუმბარა ცვიოდა ზეციდან, მაგრამ ისინი მაინც იბრძოდნენ, მუშაობდნენ.

ნამდვილი ხისწლისმღვრელი ბრძოლები იყო, სამკედრო-სასიცოცხლო. პიტლერის დაპირებები, მოკლე ხანში ლენინგრადს ავიღებთო, განუფრეველელ ოფიცებად დარჩა. ხისწლისგან დაცლილი ფაშისტები იძულებულნი გახდნენ ხანგრებში მოეთქვამა სული. ამის მერე ერთ ერთი ნაბიჯითაც აღარ წაუწევიათ, ხოლო 1943 წლის იანვარში ლადოგის ტბასთან გერმანელთა წინა ხაზი ჩვენებმა გაარღვიეს და ლენინგრადი დაუკავშირდა გარე სამყაროს, ან, როგორც მაშინ ამბობდნენ, „დიდ მიწას“. ერთი წლის მერე ლენინგრადისა და ლენინგრადელების ფრონტებმა მთელი გერმანელთა ჯარი საბოლოოდ გაანადგურა. მტრის მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე არმიები ანუ „ნორდი“ ბალტიისპირეთში მიიმწყვდიეს, ზღვასთან „ჩაკეტეს“ და ორმოცდაუთის მაისში აიძულეს ტყვედ დანებებულიყვნენ.

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით პრესით, რადიოთი, წიგნების მეშვეობით, რომ მსხვერპლი დიდი იყო, მაგრამ ლენინგრადელებმა ბოლოკადა ვაკაცურად გადაიტანეს. მიხეილ ივანესძე კალინინი, ლენინგრადს ლენინის ორდენს რომ გადასცემდა, ამბობდა: ის რაც გააკეთეს ლენინგრადელებმა, კაცებმა, ქალებმა, ჭაბუკებმა, იმდენად არნახულია, რომ საუკუნეების განმავლობაში იცოცხლებს. ისტორიას მსგავსი არაფერი ახსოვს და ეს გმირობა დარჩება ლენინის ქალაქის სადიდებლად.

როცა გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებას საზეიმოდ აღენიშნავთ, სადაც უნდა იყვნენ ლენინგრადელები, ისინი სულით და გულით ახსენებენ იმ დღეებს — მწარეს, ხვედიასს, პირქუს, და ამასთან ერთად გამარჯვების დღეებს, მტრის ძლვრის სისხლულის დღეებს.

ნიკოლოზ ტიხონოვს ეთხოვთ გვესაუბროს ლენინგრადის ბოლოკადის დროს თავის მუშაობაზე.

— ჯერ კიდევ 1939-40 წლებში, თეთრფინელების წინააღმდეგ ზამთრის ომში, მებრძოლ მოქმედ ჯარში ვიყავი. წელიწადზე ცოტა ხანი გავიდა და ახალი ომი დაიწყო — დიდი სამამულო. კ. ვოროშილოვმა, ჩრდილოთ-დასავლეთის მიმართულების მეთაურმა შეადგინა მწერლების სია, რომლებიც სამხედრო-პოლიტიკურ მუშაობაში უნდა გამოეყენებინა.

ჯგუფში, რომელსაც ამეთაურობდი, იყვნენ პროკოფიევი, საიანოვი, ვეშნი ფეოდოროვი, კინემატოგრაფიდან ლუკომსკი, ფრონტთან კავშირისთვის — ლეონიდ სობოლევი. ასეთივე საზღვაო ჯგუფი ჩამოყალიბდა ფლოტში და მას ვსეკოლოდ ვიმნეკსკი მეთაურობდა. როცა შეიქმნა ლენინგრადის ფრონტი, ჩვენი ჯგუფი ფრონტის პოლიტსამმართველოს დაექვემდებარა, ძნელია ჩამოთვალო საქმეები, რომელსაც ვასრულებდით. ვმონაწილეობდით საომარ დავალებათა შესრულებაში, რადგან ჩვენივე თვალით უნდა გვენახა ის, რასაც შემდეგ ქალაქზე გადმოვიტანდით. ჩვენ ვწერდით, ბევრს ვწერდით ცენტრალურ გაზეთებშიც, და ფრონტსაშიც, ვწერდით უბრალო ფურცლებზეც, გამოვდიოდით რადიოთი. ჩვენი ნაწერები აღწევდა პარტიზანებამდე, ოკუპირებულ მხარეთა მოსახლეობამდე. ვწერდით ქალაქებზე და სოფლებზე, გმირებზე, ჯარისკაცთა ღვიძლებზე და შვილებზე... ძნელია გავიხსენო ყველაფერი, რაც ლენინგრადელთა შესახებ დაგვიწერია, მაგრამ ერთი მახსოვს: ყველა სიტყვა, აზრი, მისწრაფება ბრძოლას ეძღვნებოდა. ლენინგრადი საბრძოლო ცხოვრებით ცხოვრობდა... ჰიტლერმა იმ დროს სევასტოპოლის ამოღებ მანშტეინს ლენინგრადი ალყა დათრგუნეა დაავალა. მაგრამ ლენინგრადელებმა დასაწრეს და ურეზერვოდ დარჩენილმა მტერმა ბრძოლა წააგო.

ყველაფერი ეს წლობით მიმდინარეობდა და ამიტომ ძნელია წარმოიდგინო ქალაქის ერთიანი სურათი. ის სხვადასხვაგვარი იყო. თუ 1941 წელი საშინელი იყო ჩვენი სხვადასხვა შეცდომებისა და გაუთვალისწინებლობათა გამო, მომდევნო ორმოცდაორში და ორმოცდასამში ლენინგრადი ქალაქი-ფრონტი გახლდათ, საიდანაც ევაკუირებულნი იყვნენ ყველანი, ვისაც არ შეეძლო გარნიზონის წევრი გამხდარიყო. ქალაქი ჩვეულებრივი ქალაქური ცხოვრებით ცხოვრობდა, უკვე დადიოდა ტრამვაი, მუშაობდა თეატრი. იყო მხოლოდ ერთი სამშვრობა — თეატრისკენ მიმავალს შესაძლოა ნაღმი მოგხვედროდათ.

მტერი მიხვდა, რომ პირდაპირი შტურმით ქალაქს ვერ აიღებდა და მისი საარტილერიო ცეცხლით განადგურება გადაწყვიტა. იგი ამას გაბორტებული, წმინდა გერმანული პუნქტუალობით აკეთებდა. მერე, როცა ჩვენებმა საციცხლე პუნქტები ხელთ იგდეს, აღმოაჩინეს სიები და გეგმები თუ სად, როდის და რატომ უნდა ესროლათ. ჰიტლერელები ურტყამდნენ თეატრებს, მუზეუმებს, საავადმყოფოებს. ოცდათი ჭრილობა მიაყენეს ერმიტაჟს. ძნელია სიტყვებით გამოსახატ ხდა სული ამ ხალხისა, რომლებიც ამ „ჯოჯოხეთში“ მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ სისხლსავსე ცხოვრებით.

ბევრი ქარხანა ეფაკუირებულ იქნა ურალსა და ციმბირში. დარჩენილნი განაგრძობდნენ მუშაობას. ოთხმოცი პროცენტი მუშებისა ქალები და მოზარდები იყვნენ. ისინი ამზადებდნენ იარაღს. ერთხელ ფრონტიდან მაღლობის სათქმელად დელეგაცია ჩამოვიდა. შეეიდნენ საამქროში და გაუკვირდათ, რომ ვერავინ დაინახეს. ჩვენი მუშები იმდენად პატარები არიან, — აუსხსნეს სტუმრებს — რომ დაზგებს იქით არა ჩანანო... როცა ისინი გამოვიდნენ და გამოჩნდნენ, ვიღაცამ თქვა: — აი, მესმის პროლეტარიატი!

ბევრი მათგანი თავისი საქმის ოსტატად ითვლებოდა ქარხანაში, მოდიოდა სათამაშო ორთვალათი, მერე ჩამოქვეთდებოდა, — სერიოზულ მუშას არ შემეფერებაო, და ისე შედიოდა საამქროში.

სამხედრო კორესპონდენტ ნ. ტიხონოვს შეხვდებოდით ფრონტის წინა ხაზზე, სანგრებში, ფრონტული ქალაქის ყველაზე საშიშ ადგილებში. ნ. ტიხონოვის ნაამბობი ბლოკადაზე გმირი ქალაქის ნამდვილი ამბავია, სადაც ყველა ლენინგრადელი იყო ნაწილი ამ ქალაქისა და თვითვე იყო გმირი.

— ბევრი წერილი მომდიოდა, სხვადასხვაგვარი და უცნაური. მახსოვს ერთმა ქართველმა საინტერესო ბარათი გამომიგზავნა. მენანება, რომ იმ ავტორს არ ვიცნობ. როგორმე მოძებნი ამ წერილს და წაგიკითხავთ. ის მწერდა — დავიპყრობთ მუჯარეულს და სიცოცხლეს ვადაგრძელებთო.

ორმოცდაორში გერმანელები კავკასიას უტევდნენ. ლენინგრადელი რომ არ ვყოფილიყავი, კავკასიონს დავიცავდი, დავიცავდი საქართველოს. ბასსოფს, სამთო ბრძოლებზე ვწერდი, დავწერე მიმართვა კავკასიის ხალხების მიმართ.

პოეტი ვერა ინბერი იხსენებს: 1942 წლის 15 სექტემბერს ქალაქიდან რიცა ბბრუნდებოდი, ორი ტრამვაი გაესვეში, ვუსმენდი ნ. ტიხონოვის სიტყვას რადიოთი. ეს იყო საუბარი ქართველებთან, ოსებთან, დაღისტნელებთან.

რამდენიმე წლის წინათ მე წავაწყდი ერთ კავკასიურ გაზეთს, რომელშიც ჩემს ეწერა: „იგი იცავდა კავკასიას“ და მე ამით ვამაყობ.

ჩემი ლიტერატურული გეგმები?

წელს უკვე ათამდე დიდი სტატია დავწერე. უნდა დავწერო ბოლოხოვსა და ფეიდინზე, პროკოფიევსა და კორნეიჩუკზე. ამას ნიშნავ ქალთა ეროვნულისთვის დავწერე ლენინგრადელ ქალებზე. ისინი ამის დირსნი არიან.

ნახევარი საუკუნის მოღვაწეობის მანძილზე ნ. ტიხონოვმა დიდად ყამდიდრა საბჭოთა ლიტერატურა. მისი თარგმანების მეშვეობით ქართველი პოეტების შვილეინერი ნაწარმოები რუსმა მკითხველმაც გაიცნო.

ნ. ტიხონოვმა თარგმნა პოეზია ქართველი პოეტებისა. ეს პოეტები არიან: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, პაოლო იაშვილი, აღექსანდრე ქუთათელი, ალიო მირცხულავა, იოო მოსაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე, რაჟდენ გვეტაძე, იოსებ ნონეშვილი. ტიხონოვის თარგმანებში აისახა მისი გულწრფელი სიყვარული საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი.

— საქართველოს გამომცემლობა „მერანი“ მთხოვს, რათა თავი მოვუყარო ჩემს ნაწერებს სამ წიგნად: ლექსები საქართველოზე, პროზა საქართველოზე და წერილები საქართველოზე, მაგრამ მე ლექსების გამოცემას ვნატრობ და დრო კი არა მაქვს.

ჩემი წასვლის დროა. ამ მშვენიერ ადამიანთან განშორება ძნელია. ამ „უდრეობისას“ მან ორი საათით მაინც მოიცალა და ამაში მე საქართველოსადმი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას ვხედავ. დამშვიდობებისას ნიკოლოზ ტიხონოვი მეუბნება:

— მინდა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ვუსურვო ჯანმრთელობა, ჰქონდეთ კარგი სამუშაო განწყობილება და ბევრი დღესასწაული.

მაია ნემიროვა.

მათი საგმირო საძმენი ლეგენდად იქცევა

შინმოუსვლელთა ობელისკები



შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად რამდენი ძეგლი აიგო, რამდენი წმიდა ადგილი გაჩნდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში. დღეს აქ გთავაზობთ საგარეჯოს რაიონის სოფლებში — კაკაბეთში, მანავსა და პატარძეულში აღმართულ შინმოუსვლელთა ძეგლების ფოტოსურათებს, რომლებიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტმა გ. გოგობერიძემ გადაიღო.

„მანავის მთაწმინდას“ უწოდებენ გორაკს, სადაც მადლიერმა ხალხმა თავიანთი შინმოუსვლელი თანასოფლელების ხსოვნის აღსანიშნავად ობელისკი აღმართა. ობელისკის საზეიმო გახსნაზე შეიკრიბნენ რაიონის მშრომელები, ხელმძღვანელი მუშაკები, სტუმრები. შეკრებილთა შორის იყვნენ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარჩინებული ადამიანები, სამამულო ომის ვეტერანები. შინმოუსვლელთა ობელისკის გახსნა მანაველებს გულთბილად მიულოცა მეკენანეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ჯიმშელიძემ.

ვინ იცის რამდენი რამ აქვთ მოსაგონარი (სურათი მარცხნივ) იმ ქარცეცხლიან დღეებში დალუპულ თანასოფლელებზე სამამულო ომის ვეტერანებს ა. ოზგელდაშვილსა (მარცხნიდან) და გ. ბორაშვილს.

„გმირთა სავანე“ (სურათი მარჯვნიდან პირველი) — ასე ჰქვია ორიგინალურ არქიტექტურულ ანსამბლს, რომელიც პატარძეულის მშრომელებმა თავიანთ ხოფლიდან წასულ შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად აღმართეს. აქ დადგეს საბჭოთა კავშირის გმირის, პატარძეულელი გიორგი ბილანიშვილის ბიუსტი.

ჯერ კიდევ ამ ორიოდე წლის წინათ სოფელ კაკაბეთის მიწას 34 წლის შემდეგ მიაბარეს ხამამულო ომში დალუპულის, ამ სოფლის მკვიდრის, ტანკისტ ნიკოლოზ პავლიაშვილის ნეშტი. სოფლის მშრომელებმა ეს ადგილები კიდევ უფრო დაამშვენეს და თავიანთი დალუპული თანასოფლელების ძეგლად აქციეს. ნიკოლოზ პავლიაშვილის საფლავს თანასოფლელები უვავილებით ამკობენ. (სურათი მეორე).



ი. ა. ბერიაშვილი

ეროვნული ... ბერიაშვილი 1914 ... სკკპ წევრი ივანე ალექსეი-ძე ბერიაშვილი. ივანე დაბადა 1893 წელს ყოფ. გორის მაზრის სოფელ ტეზერში. ადრე დაიწყო შრომითი საქმიანობა, მუშაობა შორის ტრიალებდა ბორჯომში, სურამსა და თბილისში; მეფის არმიაში გაწვეული 1917 წლის თებერვალში დაუკავშირდა ბოლშევიკ პროპაგანდისტებს და აქტიურად ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, რისთვისაც დაპატიმრეს.

განთავისუფლების შემდეგ, 1918 წლის დამდეგს ი. ბერიაშვილი დაბრუნდა თბილისში, სადაც როგორც ბოლშევიკი-პროპაგანდისტი ისევ დაპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1919 წელს გაიქცა და იმალებოდა თავის სოფელში, სადაც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა — ქმნიდა წითელ ასეულებს, ორგანიზებდა მთა. შემდეგ მტკვრის მარჯვენა ნაპირის პარტიზანული შტაბის ხელმძღვანელად დანიშნეს.

1921 წლის მარტში ი. ბერიაშვილმა მუშაობა დაიწყო ხაშურის რევოლუციურ კომიტეტში შინამმართველობის პასუხისმგებელ მდივნად, შემდეგ მუშაობდა პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივნად, ხაშურისა და გორის რაიონებში რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ და სხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე; იყო საქართველოს სსრ ცაკის რამდენიმე მოწვევის წევრი, ხელართველოს ცკ ცკ-ის წევრობის კანდიდატი, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, შედალები, საპატიო სიგელი.

ი. ბერიაშვილის ხსოვნა ღირსებას დირსება ამოთ გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

წინგადადგმული ნაბიჯი

გუშინ წყალტურელთა მოსკოვის სასპორტკიადო ტურნირს ფინიში ჰქონდა. ამ დღისათვის უკვე ცნობილი იყო მე-13-მე-16 ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების საბოლოო შედეგები. მე-13 ადგილი დაიკავა ესტონეთის გუნდმა, მე-14 — თურქმენეთმა, მე-15 — ყირგიზეთმა, მე-16 — ლიტვის ნაკრებმა.

პირველ და მეორე ფინალურ ჯგუფებში ადგილების საბოლოო განაწილების საკითხი დამოკიდებული იყო გუშინდელ შეხვედრებზე. უკანასკნელი დღისათვის ჩემპიონობის პრეტენდენტები იყვნენ მოსკოვისა და უკრაინის გუნდები, რომლებსაც 7-7 ქულა ჰქონდათ.

ერთ-ერთ ლიდერს, მოსკოვის გუნდს შეხვედრა ჰქონდა საქართველოს ნაკრებთან. მოსკოველები ენერგიულად იბრძოდნენ და წარმატებაც მათ ხვდათ ანგარიშით 9:5.

ქულები, ადგილები

საქართველოს მშვილდოსანთა ნაკრები გუნდი გუშინ აშხაბადიდან თბილისში დაბრუნდა. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მწვრთნელმა ბ. ბოდორძიშვილმა განაცხადა:

— მშვილდოსანთა ასპარეზობას სპარტაკიადასთან ერთად საკავშირო ჩემპიონატის ხასიათიც ჰქონდა. შედეგები კარგი აღმოჩნდა, განსაკუთრებულია 8 რეკორდი. აბსოლუტური ჩემპიონების უპირატესობა აშკარა იყო. მაგალითად, ვ. კოვპანმა ვერცხლის პრიზიორს 76 ქულით გაუსწრო, ა. პანკინმა — 33 ქულით.

მესამე პრიზიორის ჭ. ლოსაბერიძის შედეგი სტარტზე სახარბიელო არ აღმოჩნდა (25-ე ადგილი 70 მეტრზე სროლაში). მაგრამ შემდგომ ეტაპებზე მან შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. გამარჯვების ნებისყოფისათვის მას საქეიაულური პრიზი გადაეცა. საქართველოს მშვილდოსან ქალთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ქ. ლოსაბერიძე, ლ. სორდია, გ. რიგასაძე, და მ. ბუხაიძე, მეხუთე ადგილი დაიკავა, ხოლო ვაჟთა გუნდმა — მე-12.

აი მშვილდოსანთა მიერ სპარტაკიადაზე მოპოვებული ქულები: უკრაინა — 134 ქულა, რსფსრ — 134, მოლდავეთი — 128, მოსკოვი — 76, ტაჯიკეთი — 68, ესტონეთი — 68, ლენინგრადი — 66, საქართველო — 42, ბელორუსია — 16 ქულა.

რამდენიმე სტრიქონით

ველორგოლა. გუშინ გაიმართა მშვიდობის ველორგოლის მეხუთე ეტაპი (პრაღა — გრადეც — კრალო	ე), რომლის სიგრძეა 170 კილომეტრი. ფინიშზე პირველი იყო პეტერვაიბელი. (აფრ).

კალათბურთი. კიევის ოუნიორთა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს ატარებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მეექვსე გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად დეტროიტის ჭაბუკთა ნაკრებთან — 79:77 (44:34).

ფეხბურთი. პარიზში დამთავრდა ევროპის 11 ქვეყნის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც გამოფოდნენ საბჭოთა ოსტატები ტატიანა ვოლინკინა, ოლგა დმიტრიევა, დავით ამბარცუმიანი და ნიკოლოზ მატკოვსკი. კარგად გამოვიდნენ კოშკურიდან ხტომებში და პირველობა მოიპოვეს ლვოველმა ტ. ვოლინკინამ და ერევნელმა დ. ამბარცუმიანმა. პირველმა შესანიშნავი შედეგი აჩვენა — 418,89 ქულა, ხოლო მეორემ დამაჯერებლად მოუკო ოლიმპიურ ჩემპიონს კლაუს დიბიასის. ტრამპლინზე ხტომებში თავი ისახელეს გდრ-ის მხტომელებმა: ქალებში ჰეიდი ბეკერმა, ვაჟებში — ფალკ ჰოფმანმა. 14 წლის მოსკოველი ო. დმიტრიევა მეორე ადგილზე გამოვიდა.



თბილისის „ლოკომოტივის“

სტადიონი

(ი. ქავჭავაძის პროსპ., 74).

16 მაისს

მეექვსე რესპუბლიკური სპარტაკიადის

საზეიმო გახსნა

დასაწყისი 18 საათზე.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა („ა“ კლასის უმაღლესი ლიგა).

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)

ძირითადი შემადგენლობანი.

დასაწყისი 18 საათსა და 30 წუთზე.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო-სპორტული ზეიმი

დასაწყისი 20 საათსა და 30 წუთზე.

17 მაისს

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

ხათაბარიგო შემადგენლობანი.

დასაწყისი 15 საათზე.

ტელევიზია

15 მაისი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — „მოდი, ზღაპარო“! (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო სპექტაკლი, 11.45 — სატელევიზიო ფილმები, 12.35 — მხატვრული ფილმი „სიყვარულზე“, 13.50 — კინონარკვევი, 14.05 — კონცერტი. „ამერიკაგკავსიის გაზაფხული“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 16.05 — კონცერტი — „ამერიკაგკავსიის გაზაფხული“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის) 16.35 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 17.20 — სატელევიზიო ფილმი „გია და ზურა“, 17.40 — სკოლების დასახმარებლად — გერმანული ენა, 18.10 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ეცხლი ღამით“, 19.20 — სატელევიზიო ვერნისაჟი, 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“, 20.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — ესტონური ხალხური სიმღერები, 21.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „აღმოჩენა“.

მეორე პროგრამით

16.05 — კინონარკვევი, 16.50 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა, 19.05 — კინონარკვევი „საველე გზა“, 19.20 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა, 20.05 — კინონარკვევი „პიშჩენის გაკვეთილები“ 20.25 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტეკონომიაში, 21.10 — კინონარკვევი. 21.20 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მასალათა გამძლეობაში, 22.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოხუცი“.

თეატრები

15 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — 1. რაბიონდა, 2. ვალაურების ღამე (პრემიერა), 3. კონცერტი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეთერიანი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — კურკას ქორწილი.



ორფეხა მტაცებლები

● ჩაის ნაკვლად ქაღალდის ტონები ● ვინ ზრომდა და ვინ ბამდა
● მტაცებლებმა 128.291 მანეთი ჩაიჯიბეს ● ყველაფერი ხდებოდა... რაიკომის სიახლოვეს.

ალ. ბ.

ახლო წარსულის მანკიერმა მოვლენებმა დიდი ზიანი მიაყენა საერთო საქმეს, ბევრი ადამიანი სწორ გზას აეცდინა; ბევრს დაუმახინჯა ცხოვრება და ძალზე არასასიამოვნო მკაცრ გაკვეთილად ქცეული კვალი დაუტოვა.

სავსებით სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ასეთ მოვლენებს ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ცალკეულ ხელმძღვანელთა წყაროებამ, დამნაშავეებისათვის მფარველის ფრთების გადაფარებამ, სიმახინჯემდე დაყვანილმა შეფობამ და ინდიფერენტიზმმა. ამა როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი მძიმე დანაშაული, რომლის შესახებაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

პარტიის გეგეკკორის რაიკომიდან და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომიდან სულ მცირე მანძილით დაშორებულ სოფელ ხუნწს, ხშირა სტუმრები იყვნენ რაიონის ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკები. ამ კოლმეურნეობაში ბევრჯერ ჰქონიათ თათბირები, კრებები, სიტყვებითაც გამოსულან, მაგრამ საქმის ნამდვილ არსში არავის ჩაუხედავს და ბოროტმოქმედებანი, რომლებიც მათ თვალწინ ხდებოდა, შეუმჩნეველი დარჩა.

დანაშაულობათა ისტორია კი ასეთია: ტრესტ „საქართველოს ჩაის“ გეგეკკორის ჩაის ფაბრიკის ცენტრალური პუნქტების გამგეები ნ. ვერულავა და ალ. ფუტკარაძე 1968-1972 წლებში გადასაუშავებლად მიღებული უხეში ფოთლის ხარისხოვანში გადაყვანით და ფოთოლზე გარეგანი სისველის ბროკენტის გადიდებით (ფაბრიკის ბიოქიმიური ლაბორატორიის გამგის ნ. ლაშხის წაყრუებებითაც) ქნიდნენ ნედლეულის მეტობას.

საეჭვო იყო, როგორც იტყვიან, გამსაღებელი. თვალი ახლო სოფლის — ხუნწის კოლმეურნეობას მიაპყრეს. მისმა ხელმძღვანელებმა არ დააყოვნეს გარიგება და მთავარ თაღლითებს პერიფერიული პუნქტის გამგეების პ. რუხაიას, გ. გელენიძის და ვ. ჯიმშარაძის მეშვეობით სწრაფად დაუკავშირდნენ. წამოვიდა, ფიქციური ქვითრებს და სასაქონლო-სატრანსპორტო ზედდებულების, როგორც იტყვიან, ნიაღვარი — თითქოს ხუნწის კოლმეურნეობამ ჩააბარა 221 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, რაც ფაქტიურად სხვა კოლმეურნეობების მშრომელებმა მოკრეფეს და გეგეკკორელმა ქურდებმა უსირცხვილოდ მითვისეს.

კოლმეურნეობის შვილი და ახალი თაობა ხელმძღვანელები ვ. ჯანაშია, შ. გელენიძე, მთავარი ბუღალტერი ძ. გეგია, მისი მოადგილე ნ. მანჩხავა, მოლარე ჯ. ჯღამაია და სხვები ბრიგადირებს ავალებდნენ ფაბრიკის პუნქტებიდან უკვე მიღებული ყალბი ქვითრების შესაბამისად მოკრეფილი ჩაის განრიგების შედგენას და ამის საფუძველზე ფოთლის მისაღები უწყისების გაფორმებას, სადაც კოლმეურნეების ნაცვლად თვითონ აწერდნენ ხელს. ამრიგად, გასაგები ხდება, ვის ჯიბეს ასქელებდა ოპერაცია „მწვანე ოქრო“.

დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ეს იყო თაღლითობის არც ისე რთული ფორმა. სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს ბუღალტერიას და ადმინისტრაციულ ორგანოებს მეტი სიფხიზლე რომ გამოეჩინათ, ხუნწელი კომბინატორები ალბათ დროზე იქნებოდნენ მხილებული, მაგრამ არა — უდარდელობისა და მოლიპულსაფუძვლიანი „ვაკაციური გამარჯვებების“ ატმოსფეროში, როცა ზემდგომი ორგანოებიდან გაძლიერებით უმეტესნენ გუნდურუკნ ზოგიერთი რაიონების ხელმძღვანელებს, ასეთი კოლექტიური ძარცვა, მშრომელთა ნაოფლარის მითვისება „შეუმჩნეველი დარჩა“. 279 მოწმის ჩვენებათ დადგინდა, რომ განრიგებში მათ სახელზე ნაჩვენები ჩაის ფოთლის რაოდენობა ამ ადამიანების არ მოუკრეფიათ და არც ფული მიუღიათ. ეს ყალბად შედგენილ უწყისებში კარგად ჩანს. განა თავის დროზე ამის დადგენა გაუჭირდებოდა სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს ბუღალტერიას?

ხუნწელი სამეოსლები ხშირად აბუჩად იგდებდნენ მშრომელ ადამიანებს. ერთ დღეს შ. გელენიძე, გ. გეგიამ, ნ. მანჩხავამ, ჯ. ჯღამაიამ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების გადაჭარბებით (ამქამად გარკვეულია რა გზით) შესრულებისათვის მეჩაიეებს გამოუწერეს 14.818 მანეთი, საიდანაც 9 ათასი მანეთი თვითონ ჩაიჯიბეს. მერე არც ამას დასჯერდნენ — შეადგინეს ორმოცდაათკაციანი სპარეული ეწყისი 3.008 მანეთზე, მაგრამ ვისაც ერგებოდა, მას კაპიკიც არ მისცეს. ბოროტებით დამძიმებული „საბუთები“ საქალაქოში ჩააგზავნეს.

ნათქვამია, ქურდის ხელშემწყობიც ქურდიაო. ასეთ როლში ბრიგადირები ი. ბაკურია, ს. გვარლია, დ. ძიძიგური, ა. რევია, ა. თოფურია, ბ. ჯღამაია, ბ. მონიავა, ვ. გადელია მოგვეგლინენ. მათ შორის კომუნისტებიც აღმოჩნდნენ. ისინი ბრმად აწერდნენ ხელს ყალბ უწყისებს, არც კი დაინტერესებულან, რა იყო მათში ჩაწერილი. ყველას უნდა ხსოვდეთ ცხოვრებით შემოწმებული პარტიის დევიზი — ენდე, მაგრამ შეამოწმე!

განა შეიძლება ას